პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1975 კვირა 6 აპრილი № 81 (16207) ფასი 2 კაპ. 1975

ხუთწლედის დამლევამდე

269 დღე დარჩენილა

200 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია —გეგმის გადამეტებით!

ქუთაისელებმა გადაწყვიტეს:

სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის 1975 წლის გეგმა ვადამდე, 28 დეკემბრისათვის შეასრულონ და წლის დამლევისათვის გეგმის გადამეტებით გაასაღონ

20 მილიონი მანეთის პროდუქცია.

სოციალისტური შეჯიბრების დროშით!

ხუთწლედის 1975 დამამთავრებელი

დიდი ჯილდო თავდადებული შრომისათვის

ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს მუშაობის შედეგების მიხედვით ქალაქი ქუთაისი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა.

ღირსშესანიშნავ მოვლენას — ქალაქისათვის ამ საპატიო ჯილდოს გადაცემას მიეძღვნა ქუთაისის მშრომელთა წარმომადგენლების კრება, რომელიც 4 აპრილს გაიმართა.

ქუთაისის ხაოპერო თეატრის საზეიმოდ მორთულ დარბაზში შეიკრიბნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი. კრების პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შ. შევარდნაძე. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვპაძე, ქალაქის ხელმძღვანელი მუშაკები, წარმოების მოწინავენი და შრომის ვეტერანები, რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოსული სტუმრები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ხ. ე. ხაბეიშვილმა.

ტაშის გრიალში კრების საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ, რომელმაც ქალაქის მშრომელებს გადასცა გარდამავალი წითელი დროშა და უსურვა ახალი შრომითი წარმატებები.

ამხ. ხაბეიშვილმა, რომელმაც გამოხატა შეკრებილთა ფიქრები და გრძნობები, ყველა ქუთაისელის სახელით მხურვალე მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას თავანთი შრომის დიდი შეფასებისთვის და აღუთქვა, რომ ძალღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ ახალი მოჯგნის მისაღწევად.

კრებაზე გამოვიდნენ საავტომობილო ქარხნის ამწყობი ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ი. პაუპაკიძე, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი მ. თ. თინიშვილი, მე-15 საშუალო სკოლის პედაგოგი ა. ვ. კოშკაროვა. ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ნ. ვ. ვალიშვილი, ლითოფონის ქარხნის პარტკომის მდივანი ნ. კ. ტყეშელი, ელექტრომექანიკური ქარხნის პარტკომის მდივანი ზ. ვ. ხვიჩია, მეცხოველის სახელმწიფო სახლის ფერმის ინჟინერ-ტექნიკოსი ალ. ბ. ბერიძე, ბაზრის ადმინისტრაცი

მიღწეული ზღვარი რიდია

აბაშის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება

აბაშა. 5 აპრილი. (საქინფორმის კორ.). აბაშის კულტურის სახლის სადღესასწაულოდ მორთულ დარბაზში გაიმართა რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გაჯილდოებული წოდების დრამის გადაცემას.

შეკრებაზე მოვიდნენ სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი, მოწინავე მუშები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. მგელაძემ.**

შეკრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს სამპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტყვა ეძღვნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **გ. ჯავახიშვილს.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის სახელით მან მხურვალედ მიულოცა აბაშის რაიონის მშრომელებს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული სასახელო გამარჯვება და სამპატიო ჯილდო.

ამხ. გ. დ. ჯავახიშვილმა თქვა, რომ ხუთწლედის მეოთხე წელს აბაშის რაიონის სოფლის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. შარშან მიღწეული მაჯნები აღემატება სოციალისტური ვალდებულებებით დასახულ მაჩვენებლებს. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით, რომელიც 1973 წელთან შედარებით 39 პროცენტით გაზარდა თვითეული ჰექტარი მიწის საკარგულის ეფექტიანი გამოყენებისა და სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაქანების შედეგად.

პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები რაიონის ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ შეასრულა. სახელმწიფოს წლიური გეგმის გადაჭარბებით მიეყიდა 2.590 ტონა სამარცვლე სიმინდი, 598 ტონა ბოსტნეული. გადაჭარბებით შესრულდა ეთერზეთოვანი კულტურების, მეცხოველეობის პროდუქციის დამზადების დავალებები.

შეკრებილთა ტაშის გრიალში ამხ. **გ. დ. ჯავახიშვილმა** გარდამავალი წითელი დროშა გადასცა საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველ მდივანს **გ. დ. მგელაძეს.**

პარტიასა და მთავრობას თავიანთ გამოსვლებში მადლობა გადუხადეს სოფელ ტყვირის კოლმეურნეობის ეთერზეთოვანი კულტურების მოწინავე მკრეფველმა, სოციალისტური შრომის გმირმა **ე. არველაძემ,** სოფელ ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **გ. კაკურავამ,** აბაშის მექანიკური ქარხნის დირექტორმა **შ. ნიორაძემ,** ზანათის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანმა **გ. გვანცამ,** აბაშის ეთერზეთოვანთა საბჭოთა მეურნეობა-ქარხნის დირექტორმა **გ. კუპრაშვილმა,** სოფელ მარნის საშუალო სკოლის მოსწავლემ **დ. ცომაიამ** და სხვებმა.

რაიონის მშრომელთა სახელით **გ. მგელაძემ** მადლობა გადუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მთავრობას დიდი და მრავალმხრივი დამმარებისათვის, რომელსაც რაიონის მშრომელებს უწევენ დასახულ დავალებათა შესრულებაში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალი სოციალისტურ ვალდებულებებში რაიონის მშრომელები ითვალისწინებენ წლეულს გადაჭარბონ შარშან მიღწეულ მაჩვენებლებს, დავალების გადამეტებით მიჰყიდონ სახელმწიფოს მნიშვნელოვანი რაოდენობის სიმინდის მარცვალი, ეთერზეთოვანი ნედლეული, ჩაი, აბრეშუმის პარკი, სამარცვლე პარკოსნები, ბოსტნეული, მეცხოველეობის პროდუქტები და სხვა სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

გ. მგელაძემ აღუთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მთავრობას, რომ რაიონის მშრომელები პირნათლად შეასრულებენ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს.

შეკრებაზე ამხ. **გ. ჯავახიშვილმა** მთავრობის ჯილდოები გადასცა აბაშის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ჯგუფს. რომლებმაც უმაღლეს მაჩვენებლებს მიაღწიეს 1974 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის ეთერზეთოვანთა პლანტაციების ყველა მშრომელისა და ეთერზეთოვანების მრეწველობის ყველა მუშაკისადმი, რომელშიც მოუწოდებენ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება 1975 წლის და ხუთწლედის გეგმის გადამდე შესრულებისათვის.

აბაშის ბამბის საქსოვი ფაბრიკის 9 კომკავშირელს გადაეცა ახალი ნიმუშის კომკავშირული ბილეთები. ბილეთები გადასცეს **გ. ჯავახიშვილმა** და **გ. მგელაძემ,** სოციალისტური შრომის გმირებმა **ე. არველაძემ** და **ი. ხოშტარიამ.**

ახალი ნიმუშის ბილეთები მიიღეს წარმოების მოწინავე ახალგაზრდა მუშებმა ნ. საბაშვილმა, თ. ბრეგაძემ, ბ. ბოჭოგუმ და სხვებმა.

უფრო უკეთ ვიშრომეგთ

ზუგდიდის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების მიტინგი

ზუგდიდი. რაიონის მშრომელები განუხრელად ასრულებენ სკკპ XXIV კონგრესის გადწყვეტილებებს, რომელთა მიზანია ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესება. დირსეული საქმეებით აღინიშნეს მათ მეცხრე ხუთწლედის მეოთხე წელი. გადაჭარბებით შესრულდა სოციალისტური ვალდებულებები სასოფლო-სამეურნეო წარმოების თითქმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მეჩაიეებმა, მესამინდეებმა, მეცხოველეებმა. მეჩაიეებმა მოკრიფეს 40.700 ტონა ჩაის ფოთოლი, გეგმაზე 8.513 ტონით მეტი. საშუალოდ რაიონში ჰექტარზე მიღებულია 55,6 ცენტნერი ჩაის ფოთოლი, კოლმეურნეობებში კი ამ ციფრმა 61,1 ცენტნერს მიაღწია. რაიონის ბევრმა მეურნეობამ მეჩაიეობაში დაინერგა კომპლექსური მექანიზაცია. მარტო მანქანური წესით მოკრეფილია 9.478 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც 2,5 პროცენტით აღემატება გეგმას. ახალსოფლის, ოქტომბრის, ახალკაბათის, კახათის, ნარაზენის, შამგონის, კოკის, ინგირისა და ანაკლიის საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს ხუთწლიანი დავალებები. ხუთწლედის წარმატებით დამთავრება უპატიჟეს სამშობლოს ბეგრმა რგოლმა, ბრიგადამ, ცალკეულმა მეჩაიეებმა.

დიდ შრომითს წარმატებებს მიაღწიეს რაიონის მესამინდეებმაც. შარშან ამ კულტურისათვის გამოყოფილი იყო 4.607 ჰექტარი. ამ ფართობზე მიღებულია 9.489 ტონა მარცვალი. სახელმწიფოს მიეყიდა 3.500 ტონა სიმინდი, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებული იყო 2.050 ტონა. ცალკეულ მეურნეობებში სამარცვლე სიმინდის შედგომა ამოცანებთან დაკავშირებით გაჯილდოვდა 30-35 ცენტნერი, გეგმით გათვალისწინებული 21 ცენტნერის ნაცვლად.

1974 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით ზუგდიდის რაიონს მიენიჭა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადმოცემული წითელი დროშა.

4 აპრილს სოფელ რუხის კლუბში გაიმართა რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო მიტინგი, რომელიც წითელი დროშის გადაცემას მიეძღვნა. შეკრებილებმა ერთსულოვნად აირჩიეს მიტინგის საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

წითელი დროშა გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ჯ. პატარაშვილმა.**

თავის გამოსვლაში ამხ. ჯ. პატარაშვილმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის ერთ-ერთი მოწინავე მწარმოებელი რაიონის მშრომელებმა საპატიო ჯილდო შთაგონებული თავდადებული შრომით მოიპოვეს. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გაიშალა ბრძოლა სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, შრომის პირობებისა და ორგანიზაციის გაუჯობესებისათვის, გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ნაკისრ ვალდებულებათა უთუოდ შესრულებისათვის. ზუგდიდის რაიონის მშრომელებს, ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა მშრომელს, თავიანთი წლეული შეაქვთ მეცხრე ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებაში, საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიური ზრდის საქმეში. დღეგანდელი კურსი ითვალისწინებს განუხრელ წინსვლას, იმ მიჯნების მიღწევას, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს ხუთწლედის შესასრულებლად. ყველას ვალია იმრომელ-ეროვნული ეკონომიკა, ისე იმრომონ, რომ თვითეული დღე და საათი დამკვრელური, მაღალნაყოფიერი შრომით აღინიშნოს.

რაიონის მშრომელთა შარშანდელი შრომითი წარმატებებისა და ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა **ი. თოდუამ.**

დიდი ჯილდო, თქვა მან, გვავალებს უფრო მეტი და უკეთ ვიშრომოთ, რათა გავამრავლოთ მიღწეული, ნორმად ვიქციოთ რეკორდები. წარმატებით დავიწყეთ 1975 წელი. პირველ კვარტალს გეგმა წარმოების ყველა მაჩვენებლის მიხედვით 155,3 პროცენტით შესრულდა. წარმოებულია 731,4 ათასი მანეთის პროდუქცია გეგმით გათვალისწინებული 471 ათასი მანეთის ნაცვლად. მარტო ხორცი სახელმწიფოს მიეყიდა 1.375 ცენტნერით მეტი, ვიდრე შარშანდელი წლის ამავე პერიოდში, დამზადებულია 1.800 ტონა ლაო-ჩაი. პლანტაციებში წარმატებით მთავრდება ჩაის ბუჩქების დამუშავება.

ამ კარგი მაჩვენებლების მიღწევას ხელი შეუწყო ზუგდიდის, მახარაძის რაიონებისა და უკრაინის ჩერნიგოვის ოლქის ტალალაევკის რაიონის მშრომელთა ტრადიციულმა შეჯიბრებამ.

ზუგდიდის რაიონის მშრომელებმა, რომელთაც ჩაებნენ მშრომელმქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, გადასინჯეს თავიანთი შესაძლებლობა და 1975 წლისათვის იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები — მოკრიფონ 41.000 ტონა ჩაის ფოთოლი — ადრე ნაკისრი ვალდებულებაზე 1.500 ტონით მეტი, 70 პროცენტამდე გაადიდონ პირველი ხარისხის ჩაის ფოთლის მოსავლიანობა, მიჰყიდონ სახელმწიფოს 2.200 ტონა სიმინდის მარცვალი — გათვალისწინებულზე 50 ტონით მეტი, ბევრი ხორცი, რძე, ხილი, ციტრუსი, ბოსტნეული, ტუნგი, ჟურძენი.

დასახული მიჯნების მისაღწევად საჭიროა მთელი ძალების დაძაბვა, შრომითი ენთუზიაზმი, ოსტატობა.

მიტინგზე გამოვიდნენ ზუგდიდის რაიონის ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი **ა. არახანია,** სოფელ ჭითაწყარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **მ. ბოკუჩავა,** სოფელ რუხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **შ. ბაბედავა,** სოფელ კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი **ც. ბეჟავა,** პარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი **ე. მალაზონია,** კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი **ჯ. ფიფია,** პარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველი მდივანი **ბ. ნაჭყებია,** სოფელ ოდიშის მეჩაიე, გმირი დედა **მ. ხვირავა.**

ამხ. **ჯ. პატარაშვილმა** სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადასცა რაიონის წარმოების მოწინავეთა დიდ ჯგუფს ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის.

იმერეთის ლენინის ორდენოსანი ჩაის საბჭოთა მეურნეობის № 1 კომკავშირულ - ახალგაზრდულ ბრიგადის წევრებმა მიიღეს ახალი ნიმუშის კომკავშირული ბილეთები. მათ ბილეთები გადასცეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ჯ. პატარაშვილმა,** ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა **ო. ყუფუნიამ,** კომკავშირის ეთეროვანმა **პ. რიგვავამ,** საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა **ი. თოდუამ.**

ახალი ნიმუშის ბილეთები მიიღეს შრომის დამკვრელებმა დ. ანთელავამ, მ. გუბელაძემ, ს. ნაყოფიამ, ც. ხასიამ. (საქინფორმი).

ზეგიმოფიფორმაცია

ბოგოტაში გამართულმა კოლუმბიის მშრომელთა პროფკავშირული კონფედერაციის XI ყრილობის დელეგატებმა განიხილეს კოლუმბიელ მშრომელთა ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლისა და პროფკავშირული მოძრაობის ერთიანობის განმტკიცების საკითხები.

ყრილობის მიმდინარეობის დღეებში გაიმართა კოლუმბიის დედაქალაქის მცხოვრებთა დემონსტრაცია და მიტინგი ლოზუნგით: „გაუმარჯოს მშრომელთა საერთაშორისო ერთიანობას!“ (სურათზე).

საკდესის ფოტო.



ამბები • ფაქტები

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ინდოჩინეთი ფრონტზე

ლიდერები ინდოჩინეთის ხალხებს მიმართავენ

ინდოჩინეთის ხალხებს ერთიანობისაკენ მოუწოდებენ

ბრძოლისა და ერთიანობის ბრძოლა

ბრძოლა ერთიანობისა

ინდოჩინეთის ხალხებს ერთიანობისაკენ მოუწოდებენ

ინდოჩინეთის ხალხებს ერთიანობისაკენ

ინდოჩინეთის ხალხებს ერთიანობისაკენ

ინდოჩინეთის ხალხებს ერთიანობისაკ

 მეორალი და დრო

ზნეობრივი პასუხისმგებლობა

ნოდარ დუმბაძე

ეს და ბევრ ჩემს ქართველ თანამოკალმეებსაც ახლა ყველაზე უფრო გვაღელვებს ადამიანის პირადი ზნეობრივი პასუხისმგებლობის პრობლემა — თავგანი ქცევის გამო, ყველაფრის გამო, რაც არგვლივ ხდება.

ჩვენ, ყველამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მთელი მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღების პროცესში რომ ვმონაწილეობთ, ბევრი უდავო ჭეშმარიტება ახლებურად შევიცანით და კვლავაც შევიცნობთ. ეს თავის თავზე შეიძლება თქვას მუშამაც და მწერალმაც, გლეხმაც და სტუდენტმაც. მე ამის შესახებ ამ დღეებში „კომსომოლსკაია პრავდაში“ მკითხველებს ვესაუბრე. ახლა კი ოგივე შინდა ვთხრა ჩემს ქართველ მკითხველს.

სხვათა შორის, ჩვენ ახლებურად შევიცანით ასეთი ჭეშმარიტება: არსებობს ადამიანური ზნეობის — საზოგადოებისა მთლიანად და თვითეული ადამიანისა ცალ-ცალკე — უფლებამოსილება და მოვალეობა, რომელთა ალსრულება არ შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ გამაფრთხილებელი და დამხმარე კანონებს დავაკისროთ, რაკიდან სამართლიანიც, რაკიდან ბრძნულიც უნდა იყოს ეს კანონები. არ შეიძლება კაცმა საერთოდ „შუბლის ძარღვი“ გაიყვიროს, თორემ მაშინ საქმეს ველარაფერი უშველის...

საზოგადოება, ნათქვამია „რესპუბლიკაში პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, შეიარაღებულია სოციალიზმისათვის ანტიპოდური მოვლენების — მექრთამეობის, ქურდობის, საზოგადოებრივი დოვლათის დატაცების, ადამიანის ღირსების ხელყოფის და ა. შ. წინააღმდეგ მოქმედი კანონით, მაგრამ „სისხლის სამართლის კანონით დაუსჯელი“ ისეთი ბოროტების გავრცელება, რასაც პროტექციონიზმი ჰქვია, ხელს უწყობდა მექრთამის, წამგლეჯ-მომხვეჭელის, უვიცის გაფურჩქვნა-აყვავებას მაღალი მფარველის „მზის ქვეშ“. პროტექციონიზმმა საგრძნობი ზიანი მიაყენა საქართველოს სახალხო მეურნეობას, კულტურას, მეცნიერებას. მაგრამ ყველაზე ძლიერად მან სწორედ „შუბლის ძარღვის“ გაწყვეტას შეუწყო ხელი. „პროტექციონიზმი, — ნათქვამია შემდეგ დადგენილებაში, — რეგნონს, წარმოშობს ცინიზმს, ნიჰილიზმს, სხვისი შრომის პროდუქტისადმი და საერთოდ უფროს თაობათა დამსახურებისადმი, უპატივცემლობას ერთ ნაწილში, ზერელობას, მომხმარებლურ განწყობილებას, პარაზიტული ცხოვრებისადმი მისწრაფებას — მეორე ნაწილში“.

სავულისხმოა, რომ დღეს სწორედ ეს არის რესპუბლიკაში განსაკუთრებულად ხაზგასმული: ზნეობრივ ნორმათა, კანონთა შემაერთებელი და განმტკიცებელი ძალა თვითეული ადამიანი, საზოგადოების თვითეული წევრი — ზნეობრივი კოორდინატების თავისი პირადი სისტემით, საზოგადოების დახმარებით რომ შეუმუშავებია.

თან ვფიქრობ, ეს სტრიქონები ისე არ გამიგონ, თქოს ვამბობდე — მთელი საზოგადოების ზნეობრივი სიჯანსაღე მთლიანად დამოკიდებული იყოს იმაზე, თუ როგორ „განსჯის მას“ ყოველი ცალკეული ადამიანის კეთილი ნება თუ ბოროტი განზრახვა. არსებობს ჩვენი საზოგადოების, ყოფიერების, ჩვენი სოციალისტური სისტემის იდეოლოგიური და სოციალური კაპიტალის უზარმაზარი ძალა, რომელიც თავადვე გარანტია იმისა, რომ მეურნეობის, ეკონომიკის, კულტურის ხელმძღვანელობაში დაშვებული ვერავითარი შეცდომები და დაბახინჯებები ვერ იქცევა ვერც საბოლოოდ გამოუსწორებელ და ვერც წყალწადებულ საბედისწერო მოვლენებად. და მაინც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სხვა რამ. „რუსეთში, — კვლავ მომყავს ციტატი დადგენილებიდან, — შეიქმნა სიტუაცია, რომლის დროსაც პროტექციონიზმს არ გააზიანებენ კლასობრივი, მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან, არ აშიშვლებდნენ მის ფესვებს, არ ავლენდნენ ხოციალიზმის დროს მისი არსებობის ნამდვილ მიზეზებს, რომლებიც ქმნიდა საბჭოთა მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების შებღალვის პირობებს“. დიახ, ჩვენი საზოგადოების ზნეობის სწორედ კლასობრივ, იდეოლოგიურ, სოციალურ სფეროებზე დგას. ეგი მათთან არის შედუღაბებული. ისიც ასეთივე დედაბოძია.

ამას წინათ მე გულმოდგინედ კკითხულობდი „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამართულ დისკუსიას „ოფოლ“ ცხოვრებაზე. იგი ხომ სწორედ ამ მტკივნეულ საკითხებს ეხებოდა, რომლებიც ჩვენთვის რესპუბლიკაში ახლა ყველაზე მწვავედ დგას და გადაუდებლად მოგვარებას მოითხოვს. დისკუსიას თვალყურს ვადევნებდი „სიცხეაწეული“ სიტუაციიდან. მაგრამ საქმე ემოციები როდია. მეხსიერებაში ჩამრჩა სხვადასხვა წერილებში როგორლაც მრავალჯერ გამკრთალი აზრი: მგლის თავზე სახარების კითხვას — „ოფოლ“ ცხოვრების მოყვარულთათვის ჭკვა-დარიგებას სჯობს ყველა ხვრელი ამოვგესოთ ჩვენს სახალხო მეურნეობაში და მტკიცე კონტროლი დავაწესოთ ყოველგვარ ხვრელებზე...

ჩვენ ვისწავლეთ მოვლენათა „გამოშიგნა“ და მათში ეკონომიური ხარჩულის აღმოჩენით ამ მოვლენათა ყაიდისა და მასშტაბების ახსნაც. ეს კარგია, რა თქმა უნდა, მაგრამ მარტო „ხვრელების ამოვსებას“ თუ მოუნდით, განა ამით ყველა ზნეობრივ პრობლემას გადავჭრით? განა საკმოსანი გადაეჭვევა „ხაქმეების გაიმაკნესახ“, ან თაღლითთა თაღლითობას მოიშლას, ხოლო გაიკეკრა გაიკვერობას? არავითარ შემთხვევაში, ფერს იცვლის მხოლოდ: „ყერ დამეჭირე — ქურდიც არა ვარ“.

ამ ხაზზერამა ფორმულამ ბევრი ცუდი საქმე ქნა. მე აქ განვებ არ მინდა გამოვზომო თაღლითობის ფასიანი: ზნეობის თვალსაზრისით იგი ერთნაირად მომშხამავია ყველა ირგვლივ მყოფისათვის.

გავიხსენოთ უპატიოსნო მეღვინე — ო. ოოსეფიანის ფილმ „გორგობისთვის“ პერსონაჟი. გახსოვთ, „შეუშნიველი“ მეღვინის გარშემო უძრაობის, დუმილის რა ყრუ კედელი გვაგრძნობინა ფილმმა, კაცრცხვენ რომ აზრობრივი კავშირი გამოაკლა, ხოლო გმირებს — ადამიანური ურთიერთობის აზრი... „გორგობისთვის“ ახალგაზრდა გმირი კი ამასთან ერთად პროტესტსაც აცხადებს, იბრძვის კედელ და ფურყეიც ალმოჩნდება.

აქ აშკარაა პოლემიკური სიმწვავე, მაგრამ იგი, სამწუხაროდ, არც თუ საფუძველს მოკლებულია, რადგან მომავლის თვალსაზრისით თუ დავიანგარიშებთ დანაკლისს, მაშინ, სინამდვილეში, კანონიერებისა და მართლწესრიგის ხელსალარ-ერმინალური დარღვევები კი არ წამოიწევს წინა პლანზე, არამედ ის, თუ როგორ თანდათან ვიწროვდება ზნეობრივი მოქმედების წრე.

რა თქმა უნდა, ჩვენ კარგად ვიცით: მთელი ამ წლების განმავლობაში მილიონობით ადამიანი თეზავდა და მოჰყავდა პური, ულეველ ჩაის, ასრულებდა გეგმებს, ახწავლიდა შვილებს და ყოველივე ამას პატიოსნად აკეთებდა. და ეს იყო ნორმა, რაღაც ის, რაც თავისთავად იგულისხმება და თავისთავად კეთდება. „ბოროტებასთან — დიდსა თუ მცირესთან — შეპირისპირება, ბრძოლა ჩვეულებრივი ამბავია. ეს უზრუნველყოფილია მთელი იდეური, ზნეობრივი, პოლიტიკური ფასეულობებით, რომლებიც ჩვენს დღევანდელობას სოციალიზტურს ხდის.

— „მე, ბებია, ალიკო და ალარიონნი“ და „მე ვხედავ მზეს“ — აღწერილი მაქვს ომისდროინდელი საკოლმეურნეო კრებების სცენები. ის კრებები მე, გამოგიტყდებით, სულაც არ ამიღია ხოფლის „ნატურიდან“. სინამდვილეში ეს იყო კრება ტყვარჩელის ერთ შახტში, სადაც უკვე ომის შემდეგ მომიხდა მუშაობა. რა უნდა მქონოდათ მათ ხარეთო? დროც და საზრუნავიც — ყველაფერი სხვადასხვა გახლდათ. მაგრამ ჩემი ნაცნობი მეშახტეებიც და კოლმეურნეებიც — ეს მუყვარალა სიტყვები როდია — ხახელმწიფოებრივი ადამიანები იყვნენ. ისინი იცავდნენ თავიანთ სიმართლეს — კლასობრივ სიმართლეს. ეს სიმართლე ისეთივე ბუნებრივი იყო მათთვის, როგორც საკუთარი ტყავი, და უფრთხილდებოდნენ მას საქმიანად, როგორც შრომის ნაყოფს. მე ვიცნობ რიგი კომუნისტებს, რომლებმაც იმ წლებში, როცა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა კრიტიკის ჩახშობა და პარტიული დემოკრატიის ხელყოფა, შეძლეს მხოლოდ ისე მოქცევა, როგორც ის ტყვარჩელელი მეშახტეები თუ ის ომისდროინდელი კოლმეურნეები. და ისინი სწორედ ისევე იქცეოდნენ. ახეთია ნორმების წრე, ამ შემთხვევაში ერთნაირი — ზნეობრივადაც და პარტიულობის თვალსაზრისითაც.

ეპა ერთი მ. ფანჯიკიძის რომანის „თვალი პატიოსანნის“ ახალგაზრდა გმირის სულში ჩავეიდეთო. პატიოსანი ბიჭი წინ ალუდგა აზკარა არამზადებს. იგი ამ სიტუაციაში ბედავს ყოველგვარი წვრილმანი ეჭვი და ყოყმანი ენერგიულ მოქმედებაზე გაცვალოს.

„განა შეუძლია ადამიანს კრიტიკულ „ავარიულ“ სიტუაციებში კაცურად იცხოვროს, ზნეობრივი ძალა თუ არ ექნა? ამიტომაც არის არსებითია, ჩემი აზრით, თვალი გავადევნოთ ხაზოგადოებრივად დაფასებული ზნეობრივი ნორმის პირველწყაროს.

მე მჭერა ჩემი ზურიელასი, კვიმატმა, ბრძენმა მოზეკებმა — ბებიამ, ალიკომ და ალარიონმა — იგი კაცად აქციეს: ადამიანს ასეთ კაცად აქცევს მოვალეობის გრძნობა — იზრუნოს მოუკვანზე. იმ დროინდელმა მკაცრმა სოფელმა ეი კეთილი ადამიანი გახადა. ხოფელმა დაუფარავად, ბატიოსნად უჩვენა მას ადამიანური მწუხარება, კარგი ადამიანების მწუხარება.

მე მჭერა ჩემი ხოსოიასი. მან ბიჭობაში განიცადა ობლობა, შიმშილი, ნახა ძაძები, და იგი დაეხმარა მეორე ადამიანს პირველად ეთქვა სიცოცხლეში: „მე ვხედავ მზეს!“ ან როგორ არ უნდა მჭეროდეს ჭაღოსი, თუ მან, ჭაბუკობაში ახლადფეხშედგომელმა, მოწიფული ფაუკაცივით თქვა: „ნუ გეშინია, დედა!“ მას არ უნახავს ომი. მაგრამ სამხედრო სამსახური ხაზღვარზე მოიხადა, იქ კი სახუმრად არავის ეცალა.

არა, ავტორის ქნდმალლობით როდი ჩავუარე მე ამ მწყობრს და კიდევ ერთხელ ჩავხედე თვალებში თვითეულს.

რა გამოდის: თვითეულ ადამიანს, ვისაც კი მჭერა, რაღაც გადაბდომია ცხოვრებაში. ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თვითეული მათგანისათვის აუცილებლად ჭკუა უსწავლია ამას, რაც ცხოვრებაში შემთხვევია. რა იყო ეს? შინაური, თანასოფელელ, თანამემამულე წინაპართა ნამოქმედარის აღქმა, მათ მიერ ჩატარებული მოსამზადებელი ზნეობრივი ნამუშევრის შედეგი? თუ აღზრდის უნინარი არხები, ურმას რომ შეუმჩნევლად ხამშობლს, პატრიოტს, მოვალეობის, ადამიანური და ხაკაცობრიო ბედნიერების ცნებებით ახაზრდოებს. თუ ეს იყო განსაკუთრებული გამოცდა, ისეთი, როგორიც არის ომი, — მაგრამ ყველაფერი ეს რჩებოდა ბოვლენად, რომელიც ზემოქმედებას ახდენდა, ცვლიდა, ძერწავდა, წმენდდა, აკაცებდა, შეუდრეკელს ხდიდა ადამიანს.

ან ავიღოთ ბუჩა, ხახლი, ბინა. ახალგაზრდებით ხავსე ინტერიერი. ტახტი, მიმკრალი შუქი. მუსიკა. ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხაუბარი. ბაღლი, დღეს, ბავლ. არავითარი ამბავი. „გიორგობისთვეში“ ყველაფერი ეს ძალდაუტანებლად არის ნაჩვენები. ეს არის ახალგაზრდების კრებული, დუნე, ხულისწამდები სიცარიელე, სადაც რაიმეს მოხდენის შესაძლებლობაც კი გამორიცხულია.

მე არ ავიყვანი ფეხის ხმას და არ დავუწყეთ გონებას ახალგაზრდობას, ისეთსაც კი, „გიორგობისთვის“ ამ კადრებში რომ არის ნაჩვენები. მათ არც კი იციან — როგორ სწყურია მათს ხულს რაღაც მოიმოქმედონ, .რაღაც მოხდეს მათს ცხოვრებაში...

ხაქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ბევრი სტრიქონი შუბალდ არის მიმართული ახალგაზრდებისადმი. საზოგადოების ამ კატეგორიასთან — ყველაზე მგრძნობიარედ რომ განიცდის ყოველგვარ ზეგავლენას — არის ახლა დაკავშირებული მთავარი მოლოდინი და იმედი რესპუბლიკის მორალურ-პოლიტიკური კლიმატის მთლიანად და ღრმად გაჯანსაღებისა, მოლოდინი და იმედი ზნეობრივი პასუხისმგებლობის ახალი ზრდისა. დღეს თვითეული კომუნისტის, კომკავშირელის, თვითეული პატიოსანი მშრომელის წინაშე მნიშვნელოვანი ამოცანა დგას: მაღალი ზნეობით შეიარაღოს ახალგაზრდა თაობა, რომელიც ხვალ, ზეგ და მაზეგისათვის პასუხისმგებელი იქნება, რათა დაიცვას ყოველივე ზემოთქმული. ეს აღმზრდელობითი ზეამოცანა ახლა საკმაოა რაც შეიძლება ნათლად შევიგნოთ, და ყველაფერი ვიღონოთ, რაც ჩვენზე დამოკიდებული, რათა დავეხმაროთ ახალგაზრდას იცხოვროს და გზა გაიკაფოს სულიერი სიმაღლეებისაკენ. სულის ამგვარ ძერწვას ჩვეულებრივად ბავშვობიდანვე იწყებენ ხოლმე. მე ადამიანური ცხოვრების ამ ხანას მიეუსადაგებდი სწორედ ბაბელის ფრაზას, სულ სხვა რამის გამო თქმულს: „მინდა ყოველი სული აღრიცხვაზე აიყვანონ და თვითეული ეს სული პირველი კატეგორიის ულუფით ახაზრდოონ“.

არის ეპოქები, როცა ახალგაზრდა სულის ღუმელში შეშას თვითონ დრო შეუყეთებს ხოლმე. ჩემი თაობა, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობის კურთხეულ ნაპირებს არ გასცლებოდა, ომის ნაპირებს მიადგა. ომმა მაშინ მოელი სიმშილით გვიჩვენა ადამიანთა საქციელისა და შემართების სიდადე.

ნივთების გაფეტიშება, როგორც ზოგი მიიჩნევს, არ მეჩვენება დღევანდელი თაობის დაავადებადსხვათა შორის, მეორე პოლუსიც მაგონდება. პირველი რევოლუციის შემდგომი წლების — ახლანდელი გაგებით — მიამიტური, ზნეობრივი პრობლემების, როცა თეორი ხაყელიც კი „კლასობრივი მტერი“ იყო. „ნივთები ხოროებში გვთრევენ და ძალლებივით იკბინებიან...“ ეს სწორედ მაშინ ითქვა.

მას შემდეგ ჩვენ კარგად ვისწავლეთ, რომ მეშჩანობის შხამსაწინააღმდეგო ხაშუალება ასკეტიზმი რაღაა, არამედ სულის დასაქმება და იმის შეგნება — რა იმუშავე და როგორ ამაღლდა.

დღეისათვისაც არ უნდა დაგვავიწყდეს ეს გამოცდილება, როცა მოვლენას ოპერაციას ვუკეთებთ ეკონომიური ანალიზის ყველა წესის დაცვით. იმთავითვე, ნორჩობაშივე უნდა გავუმაგროთ ადამიანს „შუბლის ძარღვი“, რათა გავუფრთხილდეთ მომავალი ხაზოგადოების ჯანმრთელობას. აბა რა არის ყოველივე, თუ არა ჩვენივე პირად ზნეობრივ პრინციპებზე შექმნილი რამ? იმ პრინციპებზე, რომლებიც უნდა დავიცვათ და რომელთაც კიდევაც უნდა მივდოთ!

ROMAN ID SAQARTOSA WARILEBIS ZEIMOMLILVIT

დედა ვლიტ ბიბლიოთეკა ჯარისკაცს

ამბავი შინმოუსვლელის დედისა

„დედა მას მნაცვალოს“
ხმალიც ღამე ლოდინის!
ალნდრო ფანფიაშვილი.

ჯარისკაცის უკანასკნელი სამკაუთხა წერილი ნოვოროსიისკიდან მოვიდა. როგორც ყოველთვის, წერილს თავისზე მოყოლებულ მეცარეკლასელ დას ნინოს სწერდა. მინ მხოლოდ ის დარჩა წერა-კითხვის მცოდნე, ორი და კი ჯერ პატარები იყვნენ. ჯარისკაცის წერილი ყოველთვის გაფრთხილებით იწყებოდა — დედაჩემსა და მამაჩემს ერთად არ წაუკითხოო. ის ჯერ დედას სწერდა. ბოლო წერილიც ასე იწყებოდა: „დედი, მამაჩემს გაუფრთხილდი, ხომ იცი მაგის გულჩათრობილი ხასიათის ამბავი, ვიცი უთქმელი კაცია და ემანდ გული ხაღელით არ გაიგსოს და ჯავრს არ გადაყყვეს. თუ წერილმა დაიგვიანოს, არ იკავოოთ. აქ ისეთი ჯოჯოხეთი ტრიალებს, რომ შეიძლება წერილის დასაწერად კი არა, თავიხ მოსაფუანადაც ვერ მოვიცალო. ყოველი მაღლობისა და ღელისათვის ცხარე ბრძოლებია, კაკაკასიონისაკენ არ ვუშვებთ. დედი, ბოსტნის ბოლოს ღობე გადაქცეული იყო, მამაჩემს უთსარი ძელი დაუმატოს, თორემ გაზაფხულზე საქონელი ბოსტანს ააბარაკებს. დედი, ჩემს მაგივრად მაგრად დამიოცნე ჩემი დები ნინა, ციალა და დარიკო.

ნინაკ, აქედან კი მამაჩემს წაუკითხე. მამი, შენი ამბავი რომ ვიცი, ოხვრით ბუნს გაისიგ და დედაჩემსაც ააცრემლებ. კაცი ხარ, ჯავრი როგორ უნდა მოგერიოს. შენგან გამიგონია, კაცს გულისჯავრს ბრომა უქარგებსო. პირველ ომში შენც ხომ ხარ ნაყოფი. ვინძლო ხელი არ მოაკლო ვინახსა, კარგად მოუარე. ომი რომ გათავდება და ჩამოვალ, ხომ იცი, ღვინო დაგვეჩრდება, აი დედასა, რა დროს წაიმიყვანეს! მოსკოვიდან ალბათ უკვე მიიღე გამოფენის დიპლომი. ჩემი სელიი უნდა გამეკეთებინა ჩარჩო მაგ დიპლომისათვის და ჩემს საწოლთან კედელზე უნდა ჩამომეკიდნა. არა უშავს, რომ დავბრუნდები, მეც მიგუმატებ გამოფენის დიპლომს და... ისეთი ჩარჩო გავაკეთო, რომ კაცუ დურგალსაც კი შეშურდეს. გიგა ძიას ყურილებს თუ იღები, ან თომა რას იწერება. რომელ ფრონტზე არიან. ვინძლო, მისაძართი გამაგებინოთ და იმათაც მივწერ ყურილს, გავამხნევებ.

ბომბიკითხეთ ბებია, ყველა ჩვენიანები დამიკოცნეთ. გწყადეთ, რომ გავიძარჯვებთ და საღ-სალამათი დაგიბრუნდებით. აბა თქვენ იცით, კარგა გნახეთ.

თქვენი ბობია.

ღრმად მოხუცებული, ჩამჭრალთვალებიანი, სახედაღარული გოგას დედას ნუცას ღუმელთან გაუპაირებია და თავის შვილიშვილს ნოდარს, ვინ იცის, წერილს მერამდენჯერ აკითხებს. ოცდათოხსმეტიწლიანყონანდელ წერილზე მელიის ნაკვალევი ძლივსღა ეტყობა, მაგრამ ხოდარმა ზეპირად იცის წერილის შინაარსი და ქაღალდს მხოლოდ ყასიდადღა დასცქერის. ნუცა ბებია მატყლის წინდებს ქსოვს და თან ისე უსმენს, თითქოს წერილს პირველად უკითხავენო.

ნოდარი კარგა ხანია ეზოში გავარდა, მეზობლის ბიჭებში ნავარდობს. ხუცა ბებია კი ჩამჭრალი, ნელთბილი ღუმელის ახლოს კუთხეში მიმჯდარა, ქსოვს და ქსოვს წინდას. კარგად ვერ ხედავს, მაგრამ გუმანით ქსოვს. ხან ჩათვლემს, ხან კი იღვიძებს. წინდის ჩხირებზე დამტკნარი ღაწვები კინაღამ ჩამოაგო და გაქოფხიზლდა. ქსოვას მოუქარა. როცა ფიქრობს, მაშინ ჩქარა-ჩქარა ქსოვს და თან ჩაშავებული ბაგეები უთრთის, თავისთვის რაღაცას ჩურჩულებს.

...ბიჭო, გოგიავ, სადა ხარ, შვილო... დღეს შენი დაბადების დღეა... რამდენი წლისა ხარ?.. კა? რომ ვეღარ ვიკონებ? გონება დამიბნელდა, შვილო... ერთი შენი თავი მაჩვენა და მერე თუნდა მოგკვდე...

...რომ არც მეტირება; თვალში ცრემლი დამეშრიტა თუ რა ღვთის წყრომაა! გაგქვავდი თუ რა არის, ალბათ სატირალი არა ხარ, შვილო, კა? ვინ იცის სადა ხარ, მაგრამ ხმა ვერ მოვიწვდენია... ცოცხალი იყავ, ბიჭო და ჩემი თავი წყალსაც წაუდია...

...ეეჰ, თვალი კი დაუდგეს ბავლესა. ვეღარ ვაუძლო შენს ჯავრსა, შვილო... ოხვრასა და ფიქრებში გაატარა თავისი სიცოცხლე. ომის შემდეგ ორი წელი გიცადა და მეტი ვეღარ გადაიტანა, შენს ლოდინში გული გადაელია, შვილო, ყელში ბურთივით რაღაცა მაწვება და მახრჩობს, ნეტავი ი ბიჭი მაინც ჩამოსულიყო. შენს ჯავრს გადაიყვა, შვილო...

შავ ძაძებში დრო მიდის... ნუცა ბებიამ, ამ ოცდაშვიდი წელს წინათ პავლე რომ გარდაიცვალა, შავები მაშინ ჩაიცვა და მერე აღარ გაუხდია. ვიდრე შეეძლო კოლეგტიერში, შრომაში აყოლებდა... გულსა ქალიშვილებისაგან ექვსი შვილიშვილი ეყოლა, მაგრამ გოგიას ადგილი ვერცერთმა ვერ დაიჭირა. ხანდახან კიბეფიქრებს ხოლმე, რატომ ხოდარს გოგია არ დავარქვეთო, მაგრამ თავის დროზე ხომ თვითონ ნუცა ბებია წვიდა წინააღმდეგი — არ მინდა შვილიშვილსაც გოგიას ბედი დაპყვეს. შენგან შვილიშვილი რომ დამჩენოდა, აი ის სულ სხვა იქნებოდა.

...ალეი ქობი დავანგრეთ, ბიჭო, გოგიავ! ახალი სახლი ავაშენეთ. შენ რომ აქა მყოლოდი, ალბათ უფრო დიდ სახლს ავაგებდით. — ფიქრობს ნუცა ბებია და დამჭკნარი ნიკაპი უთახთახებს, ცრემლები ყელში ედგება, თვალები კი ისევ მშრალი აქვს... ვინახიე ვაკაბლეთ, შვილო... მაგრამ მე გულმკვდარს რათ მინდა. ამ ვინაბში ხედ უნდა ტრიალებდე, აი რა გამახარებდა, ბიჭო...

...აი ეს კარგია, მეურნეობის ბრიგადაში რომ ჩაგრიცხეს... კა, შვილო, კა! კარგია. შენ აქა ხარ, ჩვენს სოფელსა... დედა კი გენცვალოს, შვილო... ბიჭო, გოგიავ! შენ აქა ხარ, შვილო...

ლოდინი და იმედი... ისევ ღამე ლოდინის... სიზმარი თუ ცხადი... მოჩვენება თუ სიზმარი...

...მოსვედი, შვილო, დედა გენაცვალოს, გოგიავ, არ გამოცვლილხარ, შვილო, ისევ თვრამეტი წლისას ჰგავხარ, ბიჭო. ბევრი ეწვალე, შვილო?.. მამაშენი? შენი ჭირიც წაუღია ბაღლესა, შვილო...

...ხომ გწერდი, დედი, მამაჩემს გაუფრთხილდი, გულჩასურული კაცია, ყველაფერს გულში იტრიალებს-მეთქი.

— რაკი შენ დამიბრუნდი; პავლეს რაღასა ვჩივი, შვილო. დაეკაცებულხარ. დაჭრილიც ყოფილხარ? მხარში უსვრიათ იმ სიყრმიდასაბნელებლებს... ვანა არ იცოდნენ ვის ესროდნენ, შვილო?

— მომირჩა, დედი, აღარა მტკივა.

— კო, შვილო, კო... ალეკ კი მოხვენებული მოგკვდები, შვილო... ისევ თვრამეტი წლისასა ჰგავხარ, ბიჭო.

— თვრამეტისა ვარ, მაგ რამდენისა უნდა ვიყო... რა დროს სიკვდილია, დედი.

— დავიღალე, ბიჭო, შენს გზაზე ცქერით დავიღალე, მაგრამ გულში მაკრთოდა, რომ დამიბრუნდებოდი.

— კო, დედი, აკი მოვედი... ერთი გადავირბენ, გიგა ძიას ეზოსავ და მალე მოვალ...

— ნუ, ნუ წასვალ, შვილო, გვიანია, ხვალე ნახე...

— ახლავე, დედი, მალე მოვალ.

— ნუ, ბიჭო, ნუ წასვალ, მოიცა, კარებს გაგიღებ...

* * *

— ბებია, სად მიხვალ, ამ შუაღამისას...

— ნოდარ, არ გძინავს, შვილო...

— დაიძინე, ბებია, დაიძინე... ყოველდამე რას დაეზვივ ადგომას!

გალებულ კარებში გოგიას „მაგიერად ნუცა ბებიას ღამის ზეადაღი შემოეგება... ფორს კი ჩამავალი, ნამგალა მთვარის სუსტ სხივიელზე ბავშვასიონის მთების კონტურები მობაზულიყო.

ტაბილი იყო სიზმარი... ზის და უცდის გულდათუთქული დედა დედისერთა გოგიას...

ვინ იცის რამდენი დედა უცდის ომიდან შინმოუსვლელ შვილს. დედის გულს არა სჯერა... ნუგეშ დაჯერს.

ნოვოროსიისკთან, გრანიტის დიდ სვეტზე, ქალაქის სხვა ღამესვლეთა შორის გოგი პავლეს-ძე ჯანიკაშვილის გვარიც არის ამოკვეთილი. იგი სიფხაგის რაიონის სოფელ საქობოდან წასული ახალგაზრდა. ეს სვეტი შარშან საქართველოს ტელევიზიითაც აჩვენეს, მაგრამ ნუცა ბებიას ის გადაცემა არ უნახავს. სიზმრებსა თუ ცხადში იგი მინდა თავის გოგიასთან არის. დედა შვილს ძველებურად ეზურრულება, ეალის. დედ ელოდოს, მისთვის ალბათ ტაბილია „ხვალეკ ღამე ლოდინის“.

ვ. გოზალიშვილი.

ხიდნაღის რაიონი, ს. საქობი.

ხალხი ადიდებს, ხალხი უმღერის

ᲭᲘᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲤᲐᲪᲣᲠᲔᲑᲘ

შავი მერანი არხევდა ფაფარს
და გასაფრენად მზად იყო ცხენი,
ძუნწი ალერსით დაგლოცა პაპამ
და ჩამოგართვა სოფელმა ხელი.

ეთხოვებოდი რაიონს, მაზრას,
არვინ დაგტოვა გაუცილებლად,
ბოლმა გასრჩობდა, თუმც გრძნობდი
— წასვლა
საჭირო იყო აუცილებლად.

ერთი შესძახე: „მერანო, გასწი!“
გარდაიარე ხმელი და წყალი,
ყოველთვის, ყველგან ალაზნელ
არწივს
მარჯვედ გეჭირა წინაპრის ხმალი...

შინ მოგელოდა ბაღარა დედა,
სევდა რომ ჭმონდა შავი ხვლის
ტოლი,
სიზმრად გხედავდა მეომარ
მხედარს
ანგელოზივით ლამაზი ცოლი.

ქარცეცხლი ენთო მიწიდან ცამდის,
წიოდა ტყვია, სკდებოდა ბურვი,
და შენ შენივე შაშხანით კლავდი
დაბრუნების და შინ მოსვლის
წყურვილს...

აცრემლებული მოჩანან ხშირად
შენი არმოსვლოთ დატანჯულები,
და თავებს ხრიან ალაზნის პირას
სევდით წითელი სატაცურები.

ლერი ბეგიაშვილი.

ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲪᲝᲓᲐ ᲠᲐ ᲔᲠᲥᲕᲐ

იდგა 1942.
და ქერჩში
პატარა ჭიხურთან
ნახეს ჯარისკაცი
მკვდარი
ტანშიშველი...
შანთით დაედაღათ თვალები...
ტყვიით გაეხვრიტათ შუბლი და
ბაბუკი მოეკლათ წვალებით!..

არავინ იცოდა რა ერქვა,
გიორგი, შოთა თუ არჩილი...
მხრები სამ მტკაველზე გაეშალა,
ხიშტი მტრისკენ ჰქონდა
გაწვდილი...

მიწაზე ისე იწვა გულალმა,
ვითარცა მოკლული არწივი!

ნახეს და მყის გახდა ნათელი:
შეიცნეს ვაჟაცი ქართველი!

უცებ მოიხადეს ქუდები,
თავები მდუმარედ დაბარეს...
მერე გაუთხარეს მიწა და
უხმოდ მიაბარეს სამარეს...

არავინ იცოდა რა ერქვა,
გიორგი შოთა თუ არჩილი...
მერე გზა განაგრძეს გმირებმა
წარუძღვათ ამნახი აჩრდილი!

გიორგი მეტრეველი.

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ

ᲒᲛᲘᲠᲘ ᲙᲐᲚᲐᲙᲘ ᲜᲝᲕᲝᲠᲝᲡᲘᲘᲡᲙᲘ. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲐᲜᲙᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲣᲚ ᲜᲝᲕᲝᲠᲝᲡᲘᲘᲡᲙᲨᲘ.

ᲡᲐᲥᲝᲑᲘᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲙᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

ი. ლადნი,

ᲮᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲐᲜᲢᲘᲜᲝ ᲘᲜᲤᲝᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲮᲕᲐᲚ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲓᲦᲔᲐ

— ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘ: ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ ᲛᲝᲒᲕᲐᲗᲝᲗ ᲘᲒᲘ! ᲐᲛ ᲓᲦᲔᲕᲘᲗ ᲩᲐᲝᲒᲚᲘᲡ 1975 �წᲚᲘᲡ 7 Ა�პᲠᲘᲚᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝᲡ ᲓᲦᲔ. ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲛᲔ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲡ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐ ᲚᲘᲪᲘᲖᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ 80-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ. ᲗᲣ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲘᲗ,



„კომუნისტის“ ფოტოკონკურსზე
ვ. მითაიშვილი (გათუმი) —
„ომის გამოძახილი“

დღეს თბილისის იპოდრომზე

ПРАВДА
ТБИЛИСИ

წლევანდელი სპორტული კალენდარი ძლიერ დატვირთულია დიდი მნიშვნელობის მქონე ასპარეზობებით. მათ შორის უნდა გამოვყოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა და გაზეთ „პრავდის“ მძღოლსნური კროსი, რომლებიც ყველასაგან გამოირჩევა და მასშტაბითაც გრანდიოზულია. ერთიც და მეორეც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების 30-ე წლისთავს ეძღვნება და ტარდება დღეისით — „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“. „პრავდის“ წლევანდელი კროსი რიცხვით მეოთხმეტეა და გამოირჩევა მასობრიობით, „სიახლეებით. ერთ-ერთი მთავარი სიახლე ის არის, რომ გამარჯვებულებს თბილისში მარტო „პრავდის“ პრიზებს კი არ გადასცემენ, არამედ ჩვენი ქვეყნის პირველობის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს შედლებსაც.

„პრავდის“ კროსის ყველაზე მასობრივმა ეტაპებმა უკვე განველო. რაიონებში, ქალაქებში, ავტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქებსა და მხარეებში უკვე ამოიწურა შესვედრები, დასასრულს უახლოვდება რესპუბლიკური კროსები. თითქმის ყველგან შედეგნილია ნაკრები გუნდები, მიმდინარეობს უკანასკნელი სამზადისი, მალე ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს ეწვევიან პირველი სტუმრები

საქართველოს მძღეოსნური კროსის ფინალი „პრავდის“ პრიზზე

□

— ფინალისტები. ესენი არიან მოწინავე ახალგაზრდები, სპორტსმენები, წარმოებისა და საკოლმეურნეო შრომის წარჩინებული ადამიანები.

თუ როგორ იქნება საქართველოს ნაკრებთა, საზოგადოება „კოლმეურნის“ და სხვა სასპორტო საზოგადოებების, ქალაქებისა და რაიონების ნაკრებთა შემადგენლობა, ბევრად არის დამოკიდებული საქართველოს კროსის ფინალზე, რომელიც დღეს გაიმართება თბილისის იპოდრომზე.

ზედიზედ ჩამდიოდნენ გუნინ სტუმრები თბილისში. მეტად დატვირთული დღე იყო კროსის შტაბში: მიმდინარეობდა მონაწილეთა განაცხადების გაფორმება, სტუმართა მოწყობა, სპორტსმენები ეცნობოდნენ ტრასებს. ბევრი რამ გაკეთდა თბილისის იპოდრომის კეთილმოსაწყობად, შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩასატარებლად. საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა გუშინ თბილისის ველოსტადიონზე და იპოდრომზე მოაწყეს შაბათობა. ეს კარგი და სასარგებლო საქმეა.

კროსის დისტანციები მონაწილეთა ასაკის მიხედვით სხვადასხვაა — 1.000, 2.000, 3.000, 8.000 მეტრი... ახალგაზრდების კროსთან ერთად დიდ ინტერესს იწვევს ვეტერანთა კროსიც.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენს რესპუბლიკას „პრავდის“ კროსებში მონაწილეობისა და კარგი შედეგებისათვის ბრძოლის დიდი ტრადიცია არ გააჩნია. მძღეოსნობას ეს სახეობა ჩვენში რატომღაც პოპულარული არ არის და შედეგებიც, ბუნებრივია, თითქმის ყოველთვის არ არის სახარბიელო. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ წარუმატებლობას შევეგუოთ, არ ვიზრუნოთ მისი აღმოფხვრისათვის. კროსის მასპინძლებს, საქართველოს სპორტსმენებს კარგ მასპინძლობასთან ერთად, კარგი სპორტული შედეგებისათვის ზრუნვაც მართებთ.

„პრავდის“ მძღეოსნური კროსის განვლილ ეტაპებს და მათს შედეგებს თუ გადავავლებთ თვალს, ჩვენი რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში შეჯიბრება ასე ორგანიზებულად არასოდეს ჩატარებულა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს მასობრიობაც და შედეგებიც. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს კროსის დღევანდელი ფინალი თბილისის იპოდრომზე მაღალ დონეზე ჩაიელის და შედეგებიც სასურველი იქნება.

წარმატებითი სტარტი ვუსურვოთ ჩვენს სპორტსმენებს!

ორი წელიწადია ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს გზებზე მოძრაობის ახალი წესები, მაგრამ სატრანსპორტო საშუალებათა მკვეთრმა ზრდამ კვლავ დააყენა დღის წესრიგში მოძრაობის წესების ხელახალი გადასინჯვა და მათში სათანადო კორექტივებისა და დამატებების შეტანა, ამიტომ პირველი აპრილიდან მოქმედი საგზაო მოძრაობის წესების 186 პუნქტიდან 41-მა ცვლილება ან ნაწილობრივი დამატება განიცადა.

წლების მანძილზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაში იგულისხმებოდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების მთლიანად თავიდან აცილება. მაგრამ ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრია ავტოსაგზაო შემთხვევები, ადამიანთა მსხვერპლი და დასახიჩრებანი. მარტო შარშან ჩვენს რესპუბლიკაში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად გარდაიცვალა 768 და სხეულის დასახიჩრება მიიღო 3.379 ადამიანმა.

როგორც მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, საჭიროა გავაძლიეროთ ღონისძიებები არა მარტო საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, არამედ აუცილებელია ისეთ საშუალებათა გამოძებნაც, რომლებიც რამდენადმე შეამსუბუქებდნენ ავარიით გამოწვეულ შედეგს.

სწორედ ამიტომ, სხვადასხვა კორექტივებსა და დამატებებს შორის ფეხადასაჩინო სიახლეა სატრანსპორტო საშუალებათა მარშვრუტსა მისაბმელი ეკრანების გამოყენების აუცილებლად მოთხოვნა. ეს წესი მძღოლს ვალდებულს ხდის მოძრაობის დაწყების წინ ქამრით დამაგრდეს თავად და უამისოდ არ გადაიყვანოს მგზავრებიც.

ბევრ ქვეყანაში ავტოტრანსპორტზე უსაფრთხოების ქამრების გამოყენების გამოცდილებამ გვიჩვენა, თუ რამდენად ეფექტური და მიზანშეწონილია მათი დანერგვა. ეს აზრი უფრო განამტკიცა ჩვენი და საზღვარგარეთელი მეცნიერების ახლომა გამოკვლევებმა: უსაფრთხოების ქამრების მარტო მსუბუქ ავტომობილებზე გამოყენებისას თითქმის ნახევარჯერ მცირდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებში გარდაცვლილ და დაზიანებულ მძღოლთა და მგზავრთა რიცხვი.

საინტერესო გამოკვლევები ჩაატარეს ავსტრალიაში, ვიქტორიის შტატში. ავტოტრანსპორტზე უსაფრთხოების ქამრების გამოყენების აუცილებელი მოთხოვნის შემოღების შედეგად ამ შტატში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებით გამოწვეულ მსხვერპლთა რიცხვი 1061-დან 924-მდე შემცირდა. გამოკვლევამ ისიც დაადგინა, რომ თუმცა, ამას კანონი მოითხოვდა გარდაცვლილთა 94 პროცენტი უსაფრთხოების ქამრებით არ იყო მიბმული. ამერიკელი მეცნიერების გამოკვლევებით, რომელთაც შეისწავლეს 28 ათასი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, დადგენილია, რომ ტრანსპორტის საათში 100 კილომეტრის სიჩქარით მოძრაობისას, იმ შემთხვევებში, როცა მძღოლები და მგზავრები მიბმულნი იყვნენ უსაფრთხოების ქამრებით, ავარიის შედეგად არც ერთი ადამიანი არ დაღუპულა.

ჩვენს რესპუბლიკაში მომხდარ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ შემთხვევათა გავრცელებული სახეობაა — ერთმანეთთან შეჯახება, უძრავ საგნებზე მიჯახება და გადაბრუნება. სწორედ ამ სახის შემთხვევების გამო მარტო 1974 წელს გარდაიცვალა 408 და დაშავდა 2.159 ადამიანი. მძღოლისა და მგზავრების სიკვდილი ან მძიმედ დაშავება ძირითადად ავტომობილის ნაწილებზე მკერდის ან თავის მიჯახების მიზეზია, რისგანაც მძღოლსა და მგზავრებს უსაფრთხოების ქამრები იცავს. სწორედ ამიტომ გზებზე მოძრაობის წესებში გაჩნდა ახალი მოთხოვნა, რის შესახებაც ზემოთ ვთქვით.

რომელ ავტომობილებს ეხება უსაფრთხოების ქამრებით აღჭურვის აუცილებელი მოთხოვნა?

ეს არის 1970-1973 წლებში გამოშვებული მსუბუქი ავტომობილები, რომელთა საერთო რაოდენობა დღეისათვის ჩვენს რესპუბლიკაში 35 ათასია. აქედან 27 ათასი ინდივიდუალურ მფლობელებს ეკუთვნით. უსაფრთხოების ქამრებით მათი აღჭურვისათვის უახლოეს დროში საუსაფრთხო მოძრაობის ორგანიზაციას.

ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოებისათვის არაერთი კეთილმოწყობილი მიწისქვეშა გადასასვლელი აშენდა. ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოებისათვის მოქმედებენ შუქნიშნები, საგარეუბნო გზების გასწვრივ ეწყობა მოასფალტებული ტროტუარები და ბილიკები, საგზაო მოძრაობის წესების ცოდნისა და დისციპლინის ამაღლებისათვის გამოიცა მრავალი საგაზეთაცი ფურცელი, ბროშურა და პლაკატი, ეწყობა ლექციები, საუბრები, სატელევიზიო და რადიოგადაცემები, გადადებულია ბევრი მოკლემეტრაჟიანი ფილმი. ერთი სიტყვით, ქვეითად მოსიარულეს არ აკლია ზრუნვა მისივე უსაფრთხოებისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, მათივე დაუდევრობით არაერთხელ ვყოფილვართ უბედური შემთხვევის მოწმე. მარტო 1974 წელს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებით გარდაიცვალა 295 ფეხით მოსიარულე.

ახლა მტკი „უფლებები“ მოიპოვეს ქვეითად მოსიარულეებმა, მაგრამ წინასწარ აღვნიშნავთ, რომ ეს უფლებები მხოლოდ ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელზე მოქმედებენ.

რობორი ასახვა ჰპოვეს გზებზე მოძრაობის წესებში ქვეითად მოსიარულეთა ამ უფლებებმა?

„ქვეითად მოსიარულეთა მოუწესრიგებელ გადასასვლელთან მიახლოებისას, სატრანსპორტო საშუალების მძღოლმა აუცილებლად უნდა შეამციროს სიჩქარე ან გაჩერდეს, რათა გაატაროს ქვეითად მოსიარულენი, რომელთაც ფეხი შედგეს გადასასვლელზე“.

ეს წესი მარტო დიდ უპირატესობას კი არ ანიჭებს ქვეითად მოსიარულეს; არამედ საგრძნობლად აძლიერებს მის როლს მოძრაობის უსაფრთხოების საქმეში. ყველა ქვეითად მოსიარულეს უნდა ახსოვდეს, რომ აუცილებელია ამ წესის გონივრული გამოყენება, ვინაიდან დიდი სატრანსპორტო ნაკადისათვის გზის გადაჭრა ზემოთმოყვანილი წესის უფლებით მის ბოროტად გამოყენებას ნიშნავს. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ფეხით მოსიარულენი სატრანსპორტო საშუალების მიმართ უპირატესობას მხოლოდ გადასასვლელებზე ინარჩუნებენ, სხვა შემთხვევებში გზებზე მოძრაობის წესები მათ ვერ გამოკუმპაგება.

ზოგიერთი ცვლილებებია შეტანილი ვზაჯვარედინის გავლის წესებში, მაგრამ ახალი კორექტივები და დამატებები მაინცადამაინც პრინციპულ სიახლეს არ შეიცავენ, თუმცა უმნიშვნელო წვრილმანი გზებზე მოძრაობის წესებში არ არსებობს. ერთი შეხედვით ასეთ „უხიშვნელო წვრილმანს“ შეიძლება მეტად საგალალო შედეგი მოჰყვეს.

რამდენად მოხერხებულიც უნდა იყოს საგზაო მოძრაობის წესები, რა დროულ და ზუსტ ინფორმაციასაც უნდა შეიცავდეს საგზაო ნიშნები და ა.ა. ახალი სახელმწიფო სტანდარტის საგზაო მონიშვნის ხაზები და ელემენტები, თუ მათ არ შეიმუშავლიან მძღოლები და ქვეითად მოსიარულენი, არ შეასრულებენ მათს მოთხოვნებს, ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხოება ყოველთვის რთული სოციალური პრობლემა იქნება.

რ. თუშურაშვილი,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საელმწიფო ავტოინსპექციის უფროსი, ძილიციის ოლკოვნიკი

საჭიროა ყველამ იცოდეს!

სიახლე გზებზე

მოძრაობის წესები და ტრანსპორტი

ვაჭრო ორგანიზაციები მათ სარეალიზაციოდ მიიღებენ.

ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის შენარჩუნებისათვის გზებზე მოძრაობის წესების 195-ე პუნქტში შეტანილია შესწორება, რომელიც მოითხოვს ყველა ავტომობილზე აუცილებლად იქონიონ ცეცხლსაქრობი და პატარა აპთიაკი. გათვალისწინებულია ისიც, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს ექიმის მოსვლამდე პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად მარტო აფთიაქი როდი კმარა, გზებზე მოძრაობის წესების შესწორებული პუნქტი მოითხოვს მძღოლების სათანადო სამედიცინო მომზადებასაც პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად.

განსაკუთრებული ცვლილებები და დამატებებია გზებზე მოძრაობის წესების მეოთხე თავში „საპალი ნაწილის მონიშვნა“ და მეხუთე თავში „საბჭოთა მოძრაობის მომწესრიგებელი სიგნალები“.

ზებზე მოძრაობის წესების ზემოთადნიშნული ნაწილში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა მკვეთრად გაუმჯობესებს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲘᲞᲝᲓᲠᲝᲛᲖᲔ

სსრ კავშირის თასის გათამაშებაში დადგა მერვედფინალების დღეა — ჩვენი ქვეყნის სამხრეთი ქალაქების სტადიონებზე გაიმართება უკანასკნელი ასპარეზობანი მეოთხედფინალის საგზურებისათვის.

თბილისის დინამოელები სოჭში ხვდებიან ლენინგრადის „ზენიტს“. ამ მატჩის რადიორეპორტაჟი შეგიძლიათ მოისმინოთ 18 საათიდან (თბილისის დროით).

ᲩᲝᲩᲔᲚᲘ

ᲑᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲘᲡ ᲧᲘᲜᲣᲚᲖᲔ

მიუნხენის „ოლიმპია-ჰალეს“ სასახლის ყინულის ასპარეზზე მესამე დღეა მსოფლიოში უძლიერესის სახელისათვის ცხარე ორთაბრძოლებია.

გუშინ შედგა ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი — ერთმანეთს ხვდებოდნენ ფავორიტები — ჩეხოსლოვაკიისა და შვეიცის ნაკრები გუნდები, რომელთა ბრძოლა ყოველთვის უკომპრომისო და მწვავე იყო ხოლმე. ამჯერად კი შვედებმა მხოლოდ მესამე პერიოდში გამოიჩინეს ფხა, როცა 0:4-ზე აგებდნენ, საბოლოოდ კი მაინც დამარცხდნენ ანგარიშით 2:5.

მსოფლიოს ჩემპიონები — სსრ კავშირის ჰოკეისტები ასპარეზობდნენ ფინელებთან.

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

თბილისს ამხანაგური საერთაშორისო მატჩების გასამართავად ეტუმრნენ კუბელი წყალბურთელები, რომლებიც მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესნი არიან სპორტის ამ სახეობაში.

გუშინ რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ზამთრის საცურავ აუზში გიმართა კუბელ წყალბურთელთა პირველი გამოსვლა. ჩვენი სტუმრები შეხვდნენ საქართველოს ნაკრებს და დამარცხდნენ — 5:8.

ნ. სიჯინავა.

ᲛᲝᲙᲚᲔ

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ. სამი წლის შემდეგ სსრ კავშირის ნაკრებმა კვლავ გადაწყვიტა მშვიდობის ველორბოლის წინ ძალები მოესინჯა შავი ზღვისპირეთის კავკასიონის რთულ ტრასებზე. სოჭის მიდამოებში გამართული ექვსი ეტაპის ჯამში გიმარჯვა კუბიბშეველმა არმიელმა ა. გუსიატნიკოვმა, რომელმაც პირველი და მესამე რბოლა მოიგო.

ᲪᲘᲒᲐᲠᲔᲑᲘ. ჩვენს ქვეყანაში ყველაზე სამხრეთი საციგურაო ტაშკენტის სპორტის სასახლის „სიაუბილეოს“ თაღქვეშ არის მოთავსებული. აქ დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება რსფსრ-ის, უკრაინის, ყაზახეთის, ბელორუსიის, საქართველოს, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, უზბეკეთის, მოსკოვისა და ლენინგრადის ფიგურულ მოციგურაგეთა შორის. „სკოლის“ შემდეგ ვაჟთა შორის ლიდერობს ლენინგრადელი იგორ ლისოვსკი, სპორტულ წყვილებს შორის კი მცირე პროგრამის შემდეგ — კვლავ ლენინგრადელები მარინე ლეონიდოვა და ვლადიმერ ბოგოლუბოვი.

ᲢᲧᲣᲐᲠᲔᲑᲘ

1. „ᲣᲜᲔᲑᲚᲘᲔ ᲞᲚᲐᲖᲘᲐᲢᲝᲠᲘ“ — ასე უწოდა ხუმრობით საკუთარ თავს მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ა. მი[illegible]ტალმა რიგის ჟურნალ „[illegible]“ (№ 5).

ტალი წერს: „უსიამოვნ[illegible] [illegible]ს ბრალს გდებენ პლაგიატში, [illegible]რხულია ისიც, რომ საკუთარი თავი ამხილო ამაში, მაგრამ ქვემოთ მოყვანილ შემთხვევაში მე არა ვარ მაინცდამაინც დამნაშავე. ჩემს შეხვედრაში ახალგაზრდა გერმანელ ოსტატ თომას პეცთან აბსოლუტურად ზუსტად განმეორდა გაფრინდაშვილ-სერვატის პარტიის იდეა დორტმუნდის 1974 წლის ტურნირიდან, თუმცა სვლები მთლად არ ემთხვევიან ერთმანეთს. მე დიდი მადლობა უნდა გადავუხადო მსოფლიოს ჩემპიონს ჰალეს საერთაშორისო ტურნირში ჩემს წარმატებით გამოსვლაში აქტიური მონაწილეობისათვის“.

საქმე ის არის, რომ შარშან ნონა გაფრინდაშვილმა დორტმუნდში ძალიან ლამაზად მოუგო ოსტატ სერვატის, რომელსაც ორი ეტლი შესწირა. მსგავსი სიტუაცია შეიქმნა ტალიშის პარტიაში. მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ჩინებულად ახსოვდა ნონას მიერ განხორციელებული კომბინაცია და უბრალოდ მიმყვა მსოფლიოს ჩემპიონის კვალს. თუმცა ამაში სჯობს თვით მკითხველი დარწმუნდეს.

გაფრინდაშვილი-სერვატი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. ∂f3 ∂c6 3. d4 cd 4. ∂:d4 g6 5. c4 ⚘g7 6. ⚘e3 ∂f6 7. ∂c3 ∂g4 8. ლ:g4 ∂:d4 9. ლd1 e5 10. ∂b5! 0-0 11. ⚘e2 ლh4? (სჯობდა... ∂:b5) **12. ∂:d4 cd 13. c:d4 ლ:e4? 14. ⚘:g7 ლ:g2 15. ლd4.!!** (დიდებული სვლაა) **ლ:h1+ 16. მფd2 ლ:a1?** (სჯობდა 16... ლc6) **17. ლf6!!** და შავები დანებდნენ. ისინი ვერ იცავენ თავს შამათისაგან.

ტალი-პეცი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. ∂f3 ∂c6 3. d4 cd 4. ∂:d4 g6 5. c4 ⚘g7 6. ⚘e3 ∂f6 7. ∂c3 ∂g4 8. ლ:g4 ∂:d4 9. ლd1 e5 10. ∂b5! 0-0 11. ლd2 ლe7 12. ⚘e2 b6 13. ∂:d4 ed 14. ⚘:d4 ლ:e4 15. ⚘:g7 ლ:g2 16. ლd4!! ლ:h1+ 17. მფ:d2 ლ:h2 (შავები არ იმეორებენ სერვატის შეცდომას) **18. ⚘:f8 მფ:f8 19. ⚘f3 d5 20. ⚘:d5 ∂b8 21. ⚘e1 ⚘e6 22. ⚘:e6!** შავები დანებდნენ.

გ. გამრეკელი.

2. სამაგრაპში კომპოზიციებს კომპოზიტორები ქმნიან, „საკომპოზიციო [illegible]“ კი პლაგიატ[illegible]ებს. [illegible] [illegible]ებსა მოსვენებას არ აძლევს იოლი გზით განდიდების სურვილ[illegible]. [illegible] [illegible]ად „[illegible]ინტერესებულმა“ ერთმა პიროვნებამ რიგის ჟურნალ „შახმატის“ მიერ 40 რამდენიმე წლის წინათ გამოცხადებულ კონკურსზე მოპარული ნაწარმოები გაგზავნა და უტიფრად ითხოვა მისი გამოქვეყნება. რედაქციამ დაბეჭდა ეს ამოცანა(!) და თან ასეთი კომენტარი დაურთო: „სიამოვნებით ვასრულებთ თქვენს სურვილს და ბოდიშს ვახდევინებთ დამსახურებულ ოსტატ ლ. ლოშინსკის, რომელმაც ამ ამოცანის ზუსტი ასლი თქვენგან ნებადაურთველად გამოაქვეყნა ჯერ კიდევ 1930 წელს. ამასთან, განკუთვნილი საპატიო შეფასებაც ლ. ლოშინსკიმ დაისაკუთრა ჟურნალ „იტალიანსკაიაკიეკას“ კონკურსზე. ილუსტრირმე!“

მოგვყავს ეს ამოცანა, რომელიც „გრიმშოუს თემაზეა“ შედგენილი. მას გამომგონებელის — ინგლისელი პრობლემისტის უ. გრიმშოუს სახელი ჰქვია — „გრიმშოუ“ ფართოდ არის ცნობილი საამოცანო კომპოზიციაში. მისი არსი ის არის, რომ კრიტიკულ უჯრაზე ხდება ერთი ფერის ორი განსხვავებულად მავალი ფიგურის (მაგალითად ეტლის და კუს) ურთიერთგადაკეტვა, რაც პოზიციას ასუსტებს. ლოშინსკის ორსვლიან ამოცანაში „გრიმშოუ“ სამჯერ ხორციელდება. იპოვეთ ეს ურთიერთგადაკეტვები, რომლებიც, ეტყობა, ალიან მოეწონა პლაგიატორს!

ლ. ლოშინსკი, 1930.



შამათი ორ სვლაში

ველით თქვენს ამოხსნებს, მეჯობრებო!

ვ. ნეიძე.

ᲕᲘᲜ ᲐᲛᲝᲮᲡᲜᲐ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ 15 მარტის ნომერში დაბეჭდილი ვ. პაულის სამსვლიანი ტყუპი ამოცანების ამოხსნაა: **ა) 1. ეh4! ბ) 1. ეa6! გ) 1. ეh2!**

ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველმა გამოგზავნა სწორი პასუხი: კ. გოქსაძე (ქუთაისი), ბ. ზაქარიაძე (ფოთი). მ. კურტანიძე (ორჯონიკიძე), ჯ. გოგოხია, ლ. კანკია, ო. ბენდელიანი (ყველა — ზუგდიდი), თ. ცოტნიაშვილი (ცხინვალის რ. ერედვი), ტ. ქობულოვი (ქარელის რ. ზღუდერი), მ. მურჯიკელი, გ. ელიოსიძე (ორივე — ბორჯომი), ო. მწყერაშვილი (საგარეჯო). ზ. სვიმონიშვილი (თელავი), მ. კინწურაშვილი (ცხაკაია), ნ. ბრეგაძე, ა. ბაქრაძე (ორივე — ქარელი), ჯ. გოგაბერაშვილი (ვანის რ. ზედგორა), ი. კანდელაკიშვილი (სიღნაღის რ. — „მომმბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ციცინათელა“, 21.50 — კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ცეკვავს ვერა წიგნაძე“.

მეორე პროგრამით

18.05 — ბავშვებისათვის. მხიარული კინოპროგრამა, 19.05 — კონცერტი, 19.45 — მხატვრული ფილმი, 21.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „ძველი ქალაქური პოეზია“ (გამეორებით).

7 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

პირველი პროგრამით

15.00 — ფერადი ტელევიზია. საინფორმაციო პროგრამა „გასავიუფლებული უნგრეთი, 1945-1975 წლები“. საიუბილეო გამოფენის გახსნა (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.40 — სატელევიზიო ფილმი „საოფლო საბჭოს დეპუტატი“, 16.10 — „ჯანმრთელობის მსოფლიო დღე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.40 — სატელევიზიო ფილმი „ტყის საოცრებები“, 17.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.00 — განცხადებები, 18.05 — ქალის საერთაშორისო წელი. კინონარკვევი „დედის ბილიკით“, 18.15 — რესპუბლიკის ახალი ამბები (რუსულ ენაზე), 18.35 — მოსწავლეთათვის. „ფრონტზე შობილი სტრიქონები“, 19.10 — კინონარკვევი „ტყე იღვიძებს“, 19.20 — „გავუფრთხილდეთ ეროვნულ ხაუნჯეს“ ყაზბეგის რაიონის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლები (გამეორებით), 19.55 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.20 — არჩევნების შესახებ ვედრად, 20.40 — სატელევიზიო ფილმი „მდინარეების, ზღვებისა და ყინულების მიდმა“, 21.00 — „მომმბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „მღერის ქეთო ჯაფარიძე“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბსურვეულს შეუძლიათ ჩაეფერონ“. დასასრულ — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.05—სკოლების დასახმარებლად — გეოგრაფია, 18.50 — კინონარკვევი „გაზაფხულის ეტიუდები“, 19.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ქიმიაში, 19.50 — განცხადებები, 19.55 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ფილოსოფიაში, 20.40 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ვემსახურები მამულს“, 21.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „გვიანი ბავშვი“.

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს სისტემის მუშამოსამსახურეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სახელმწიფო საწარმოო გაერთიანება „საქკონსერვმრეწვის“ მმართველი
ოთარ გიორგის-ძე საბაშვილი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კპ საგარეჯოს რაიკომი და მშრომელთა დეპუტატების რაიხაბჭოს აღმასკომი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პარტიის საგარეჯოს რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი
ოთარ გიორგის-ძე საბაშვილი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲑᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲪᲠᲘᲓᲐᲜ

გერანი— ტანიდების წყარო

ტყავ-შემხაცმლის მრეწველობის განვითარების მიხედვით იზრდება მოთხოვნილება მთრიმლავ, მათ შორის მცენარეული წარმოშობის ნივთიერებებზე. იმ კვლევის შედეგად, რაც უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტმა ჩაატარა, აღმოჩენილია მცენარე, რომელიც შეიძლება ასეთ ნივთიერებათა ერთ-ერთი წამყვანი წყარო გახდეს. ეს არის სწორი გერანი — ბალახოვანი მრავალწლოვანი, რომელიც შუა აზიაში მოდის. გერანის ფესვები და ფოთლები შეიცავენ 21 პროცენტამდე მთრიმლავ ნივთიერებებს — ტანიდებს. მათი მიღებისათვის მოწყობილმა ცდებმა ცხადყო, რომ გერანიდან ტანიდების სამრეწველო გამოშუშავება მაღალრენტაბელური იქნება.

□

ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ... ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ

ჩიპაბოს უნივერსიტეტის ფსიქოლოგმა დოქტორმა ი. გოლდიამონდმა შეიმუშავა ახალი მეთოდი, რომლის საშუალებითაც 25 საათის კურსალობის შედეგად არჩენს ენაბლუობას. 1967 წლის შემდეგ 54-მა ავადმყოფმა გაიარა მკურნალობის სრული კურსი და დღეს თვითეული მათგანი საუბლობთ შეუფერხებლად მეტყველებს.

აშშ-ში მამაკაცების 1-3 პროცენტს ენა ებორკება. მიზეზი უცნობია, ქალთა შორის კი ენაბლეუთა რაოდენობა 8-ჯერ ნაკლებია.

ი. გოლდიამონდი წლების მანძილზე აწარმოებდა ცდებს. ზოგიერთს გაკაუოკებისათვის 200-მდე სეანსი დასჭირდა, მაგრამ ახლა ექიმი ამტკიცებს, რომ საამისოდ უკვე დაახლოებით 30 სეანსია საკმარისი (თვითეულის ხანგრძლივობა 45 წუთს შეადგენს). მკურნალობა ძირითადად ასე მიმდინარეობს — ავადმყოფი ზის კინოეკრანის წინ და ცდილობს რაც შეიძლება სწრაფად წაიკითხოს სტატუები, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან ეკრანზე. ამავე დროს მის ხმას იწერენ მაგნეტოფონზე და იმ წამსვე ავადმყოფის გასაგონად გადასცემენ რეპროდუქტორით.

ახალი მეთოდის ავტორს მიაჩნია, რომ იგი ფაქტიურად კი არ სპობს ენაბლეუობას, არამედ ავადმყოფს ასწავლის განსხვავებული სტილით ლაპარაკს.

(უცხოეთის პრესის ფურცლებიდან).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲘᲜᲝᲞᲐᲤᲘᲨᲐ

ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲧᲐᲠ

ახალი ბელორუსული მხატვრული ფილმი მფრინავ-გამანადგურებელთა ძნელ და პასუხსაგებ საქმიანობაზე მოგვითხრობს. სცენარის ავტორები არიან ა. პიხწუკი, ვ. ტრუნინი. დამდგმელი რეჟისორია ი. დობროლიუბოვი, კომპოზიტორი ი. ფრენკელი. როლებს ასრულებენ: გ. კოტოლკოვი, ვ. ბოჩკარიოვი, ვ. ტელიჩკინა, ნ. გვოზდიკოვა, ნ. ველიჩკო.

ᲞᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲝᲙᲝᲚᲐᲓᲘ

კინოსურათი ტიპური იტალიური კომედიაა, სადაც სასაცილო მომენტებს დროდადრო სევდიანი ეპიზოდები ენაცვლება. ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ პოპულარული იტალიელი მსახიობი ნინო მანფრედი, რომელსაც საბჭოთა მაყურებელი იცნობს ფილმებიდან — „ინსპექტორი ინკოგნიტო“, „ოპერაცია წმიდა იანუარიუსი“, „ჯალათი“, „მე მას კარგად ვიცნობდი“ და ფრანგი მსახიობი ანა კარინა, ჩვენთვის ცნობილი ფილმიდან — „ისინი ჯარისკაცებს მიჰყვებოდნენ“. ფილმის რეჟისორია ფ. ბრუზატი. სცენარის ავტორები არიან: ფ. ბრუზატი, ი. ფიასტრი, ნ. მანფრედი.

კინოსურათი გადაღებულია სტუდია „ვიდეს-ფილმში“, იტალია.

ᲝᲪᲜᲔᲒᲘᲡ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲑᲔᲓᲐᲣᲠᲘ

ფილმი მიძღვნილია ზნეობრივი პრობლემებისადმი.

კინოსურათის სცენარის ავტორი და რეჟისორია დ. პალატიანი, ოპერატორი — ო. ფორგაზი. როლებს ასრულებენ: შ. ოსტერი, გ. კონცი, ი. რაიზი, ე